

თეზურ კენკეზაუვილი

საქართველოს სამეფო  
სელისუფლებისთვის ბროლა ღავით  
IV აღმავნებლის მემკვიდრეთა  
უორის



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2010

უაპ(UDK) 929.732(479.22)+94(479.22)  
კ-405

ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორია დავით IV აღმაშენებლიდან გიორგი მესამემდე. ძირითადად გამოკვლეულია ამ პერიოდის საქართველოში სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის წინაპირობები და მისი შედეგები.

წინამდებარე ბროშურა განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

**რედაქტორი** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი იულონ გაგოშიძე

© თ. კენკეაშვილი, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

**ISBN 978-9941-12-831-8**

# I. საქართველო XII საუკუნის პირველ

## მეოთხედში

დავით IV აღმაშენებლის მეფობის

ზოგადი მიმოხილვა

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე მოხდა პოლიტიკური გადატრიალება. ქვეყნის მომავლით დაინტერესებულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა აიძულეს გიორგი II გადამდგარიყო და მეფობა თავისი 16 წლის ვაჟსთვის - დავითისთვის დაეთმო. დავით IV-ის გამეფებით და ქვეყნის საჭესთან ამ პროგრესულ მოღვაწეთა დასის მოსვლით სრულიად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური კურსი როგორც თურქების, ისე დიდგვარიანი აზნაურების მიმართ. დავით მეფის ყოველ მოქმედებაში და ყოველ ნაბიჯში ჩანდა წინდახედულება და შორს გამიზნულობა. რა თქმა უნდა, ეს ამ ქვეყნისათვის თავდადებულ პირთა გამოცდილება და დამსახურება იყო, რომლებიც ერთგულად ამოუდგნენ მხარში ახალგაზრდა მეფეს. მათ სათავეში ედგა დავითის აღმრზდელი და მისი უფროსი თანამოღვაწე გიორგი მწიგნობართუხუცესი. თვითონ დავითიც იმთავითვე იჩენდა ძლიერ ნებისყოფას, დიდ ნიჭსა და მხედართმთავ-



დავით აღმაშეებელი.

რობის შესანიშნავ უნარს.<sup>1</sup>

...დავითის მეფობის პირველი ხანა გაგრძელდა 1097 წლამდე, როდესაც მეფემ თურქთა სულთანს ხარკი შეუწყვიტა და ამით მას ომი გამოუცხადა.

უპირველეს ყოვლისა, დავითი თავდადებულთა განსაკუთრებული ლაშქრის შექმნას შეუდგა. ის დაჟინებით

---

<sup>1</sup> ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია. III გამოც. გვ. 158-160.

წვრთნიდა და თანდათან იმრავლებდა ერთგულ მხედართა რაზმებს, რომლებიც უმთავრესად ყმა-მოლაშქრეთა, მსახურთა აზნაურთაგან შედგებოდა. სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მეფე ამ თავის „ტაძრეულებს“ უწყალობებდა მიწა-ადგილს, „საკარგავს“, რომლითაც ეს „მოსაკარგავენი“ მამდე სარგებლობდნენ, ვიდრე მეფის ამ განსაკუთრებულ ლაშქარში რჩებოდნენ.

ამ ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა და თანდათან ავიწროებდა თურქ მომთაბარეებს და ამით მთაში გახისნულ ქართველ მიწისმოქმედ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა.

იმავე დროს მეფე მტკიცე ხელით ებრძოდა დიდაზნაურთა თავგასულობას. 1093 წელს დავითმა დააპატიმრა ერთი ყველაზე უფრო ძლიერი ფეოდალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ივანეს ძე ბაღვაში. რომელიც მეფის მოღალატეობაში მამა-პაპის კვალს დასდგომოდა. 1097 წელს კი დავით IV-ემ გაუსწორებელი მოჯანყე საქართველოდან გააძევა, ხოლო მთელი მისი ქონება-სამფლობელო სამეფო ქონებად გამოაცხადა.

ბაღვაშთა სახლის გამოკლება მძიმე დანაკლისი იყო დიდგვარიან აზნაურთა რეაქციული ოპოზიციისათვის. ამასთანავე, ლიპარიტის საქმისადმი დამოკიდებულების მაგალითიდან კარგად ჩანდა დავით მეფის პოლიტიკური კურსი საშინაო ურთიერთობაში.

ხელისუფლება, რომელიც სათავეში უდა ჩასდგომოდა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ ბრძოლას, რა თქმა უნდა, შეღავათიანობის ნასახსაც ვერ დაუშვებდა ამ საქმის ხელისშემშლელ მოღალატეთა მიმართ. განუხრელი სიმკაცრე, რომელიც დავით მეფეს ქართველ დიდაზნაურთა პოლიტიკურ ბრძოლაში ახასიათებდა, სრულიად აუცილებელი და გამართლებული იყო.

...1092 წელს სულთანი მალიქშაჰი გარდაიცვალა და მის ძმებსა და შვილებს შორის ატყდა დაუნდობელი საშინაო ომი, რომელშიც ცალკე მხარეთა მოხელე-მმართველები (ამირები, ათაბაგები) დიდ მონაწილეობას იღებდნენ. შედეგი ის იყო, რომ ნაძალადევად და ხელოვნურად გაერთიანებული სახელმწიფო მრავალ ურთიერთმოქიშპე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. მალიქშაჰის მემკვიდრე სულთნები შედარებით უფრო სუსტი მფლობელები იყვნენ, ვიდრე თურქთა დიდი სახელმწიფოს პირველი ხელმწიფენი ტოლრილ ბეგი, ალფ-არსლანი, მალიქშაჰი. ამდენადვე მათ წინააღმდეგ ბრძოლაც გაადვილებული იყო.

იმავე დროს დაიწყო დასავლეთ ევროპელთა დიდი ომები ახლო აღმოსავლეთში - „ჯვაროსნული ლაშქრობა“. 1097 წელს ევროპელმა ჯვაროსნებმა ძლიერ შეავიწროეს თურქები მცირე აზიასა და სირიაში, ხოლო 1099 წელს ხელთ იგდეს პალესტინა-იერუსალიმი.

ჯვაროსანთა წარმატებით გამხნევებულმა ბიზანტიამაც შეუტია დამპყრობელ თურქებს. ამრიგად, მეზობელი

საქართველოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა: ის თურქთა პირისპირ მარტო აღარ იყო.

დავით მეფემ სწორად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. მეფემ სულთანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა, ხოლო ქართულ მიწა-წყალზე მომთაბარე თურქთა წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევა დაიწყო.

გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს ძალთა უკიდურეს მობილიზაციას მოითხოვდა, თან კი ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი მხარე, კახეთ-ჰერეთის სამეფო, განზე იგდა და სამამულო ომში მონაწილეობას არ იღებდა. აუცილებელი იყო მისი შემოყვანა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში.

იმ დროს კახეთ-ჰერეთში ბევრი იყო ისეთი, ვინც მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და მზად იყო ამ ეროვნული საქმისთვის ებრძოლა. დავით მეფემ კახეთ-ჰერეთის დიდმოხელე-აზნაურთა შორისაც გაიჩინა მომხრეები. 1104 წელს დიდმოხელე აზნაურებმა, ქავთარმა და მისმა დისწულებმა არიშიანმა და ბარამმა შეიპყრეს და საქართველოს მეფეს მოჰკვარეს კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანი. დავითმა კახეთ-ჰერეთი დაიკავა, მაგრამ ამ ქვეყნისათვის საბოლოო ომი საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ წინ ელოდა. კახეთ-ჰერეთის შემოერთებით დავით IV სულტანს მნიშვნელოვან მოხარკე ქვეყანას ართმევდა და თან შესამჩნევად უსუსტებდა თურქებს საბრძოლო პოზიციას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამიტომ სულთნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა, სასწრაფოდ გამოილაშქრა, რათა საქართველოს მეფე ჰერეთ-კახეთიდან განედევნა. მტერს მიუვიდნენ დავით მეფის შინაური მოწინააღმდეგენიც. საქართველოს მეფეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი ბრძოლა და ის მომზადებული დაუხვდა მტერს. ომი იმავე 1104 წელს მოხდა ერწუხში (ახლანდელი საინგილო) და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთებამ საქართველოს ეკონომიკური და სამხედრო ძალები შესამჩნევად გაზარდა.<sup>2</sup>

ქვეყნის ძალთა საყოველთაო შემოკრებამ დავით მეფის წინაშე საქართველოს ეკლესიის საქმეთა მოგვარების საკითხიც დასვა. მისი ბრძანებით 1103 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. კათალიკოს-ეპისკოპოსებისა და მონასტრების წინამძღვართა გვერდით კრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ დიდი ავტორიტეტის მქონე მონაზონ-მეუდაბნოენი, სახელმძღვანელო მწერალ-მწიგნობრები, მეცნიერ-ფილოსოფოსნი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება რთული საკითხებით აღსავსე ყოფილა. განსაკუთრებით მძიმე იყო ეკლესიიდან „უღირსი“ მღვდელმთავრების გაძევების საკითხი. „არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა“, „რამეთუ იყვნეს მთავართა და წარჩი-

---

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ. 1973. გვ. 34-36.



ნებულთა შვილნი“.<sup>3</sup> „ამავე დროს ამ კრებამ სასულიერო ცხოვრების წესში დააკანონა სხვა დემოკრატიული ღონისძიებებიც. ამის შედეგად მეფემ შეძლო ეკლესია სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყის განმტკიცება-გადლიერებისათვის ბრძოლის სამსახურში ჩაეყენებინა“.<sup>4</sup>

მეფე ერთდროულად ახერხებდა ებრძოლა როგორც შინაური, ისე გარეული მტრის წინააღმდეგ. 1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშვილდე და ძერნა. სამშვილდე თურქთა მთავარი დასაყრდენი პუნქტი იყო, მისი დაკარგვის შემდეგ სელჩუკებმა ქვემო ქართლის დიდი ნაწილი დატოვეს.

1115 წელს დავით აღმაშენებელმა თურქები რუსთავიდანაც განდევნა.<sup>5</sup>

1116 წელს დავითმა თურქ-სელჩუკები საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან - ტაოდანაც

გადარეკა საზღვრებს იქით.<sup>6</sup>

---

<sup>3</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.

<sup>4</sup> ა. გოგოლაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ. 2001. გვ. 15-16.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>6</sup> იქვე.

1117 წელს კი ქართველებმა ჰერეთის უკიდურესი ციხე-ქალაქი გიში აიღეს.<sup>7</sup>

1118 წელს ქართველთა მხედრობამ ქვემო ქართლის სამხრეთ მხარეში, ტაშირში, თურქებს წაართვა უძლიერესი ციხე-ქალაქი ლორე, რითაც თითქმის მთლიანად გაიწმინდა მთელი ქვემო ქართლი.<sup>8</sup>

1118 წელსვე დავით აღმაშენებელმა გაატარა სამხედრო რეფორმა, მან შექმნა მუდმივი ჯარი. მან აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიიდან რამდენიმე ათასი ყივჩაღთა ოჯახი გადმოსახლა საქართველოში.

ყივჩაღთაგან დავითმა შექმნა მუდმივი ცხენოსანი ლაშქარი. ამას გარდა მეფემ გაიმრავლა საკუთარი მცველთა ჯარი, რომელიც ეხლა უკვე ხუთი ათასი მეომრისაგან შედგებოდა. ამ ჯარს „მონა-სპა“ ეწოდებოდა.

1120 წელს დავით IV დაიწყო გენერალური შეტევა თურქთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში.

საქართველოს მეფემ გაილაშქრა შარვანში. თურქთა პოზიციები აქ სუსტი იყო. შარვანის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თურქთა წინააღმდეგი იყო და ქართველებს აქტიურად ეხმარებოდა. დავითმა ქალაქი ყაბალა აიღო.

---

<sup>7</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 334.

<sup>8</sup> ა. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 17.

იმავე ხანებში ქართველებმა დაარბიეს შარვანისა და რანის სხვადასხვა ოლქები.<sup>9</sup>

1121 წლის აგვისტოში თურქთა სულთანმა საქართველოს დიდი ლაშქარი შემოუსია. ომი თრიალეთ-მანგლისიდან შიდა ქართლისაკენ მიმავალ გზებზე მიმდინარეობდა. ძირითადი ბრძოლები დიდგორის მიდამოებში წარმოებდა. ქართველთა ჯარმა მტერი სასტიკად დაამარცხა.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა, 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ბატონობის ქვეშ ნამყოფი თბილისი აიღო და ის საქართველოს სატახტო ქალაქად აქცია.

1124 წელს დავითმა სომხეთის დედაქალაქი ანისი აიღო და ამით საქართველოს შემოუერთა სომხეთის ერთი ნაწილი. ახლა საქართველო უკვე დიდი სახელმწიფო იყო, რომლის სივრცეს „ნიკორთფსიიდან დარუბანდის საზღურამდე და ოვსეთიდან არაგაწადმდე“ თვლიდნენ.<sup>10</sup>

1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა დავით IV აღმაშენებელი და თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ტერიტორიულად გაზრდილი, განმტკიცებული, ეკონომიკურად გაძლიერებული, კულტურულად აყვავებული საქართველო.

---

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 41.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 42.

## II. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეთა ზეობის ხანაში

### დემეტრე I

დავით აღმაშენებელმა „სიცოცხლესა შინა დასუა მეფედ დემეტრე და დაადგა გურგუნი თვთ მისთა კელთა“. მან თავისი ანდერძით საქართველოს სამეფოს ტახტი დაუტოვა თავის უფროს შვილს დემეტრეს. დემეტრე მეფე 1093 წელს დაბადებულა.<sup>11</sup> დემეტრეს თავიდანვე მიიჩნევდნენ დავითის ღირსეულ მემკვიდრედ. 1117 წელს დავით აღმაშენებელმა „გაგზავნა ძე თუსი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად, ხოლო მან ქმნა ომნი საკურველნი, რომლითა განაკურნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევა-მოსილი მოვიდა წინაშე მამისა თუსისა სავსე ალაფითა და ტყუთა ურიცხვითა“.<sup>12</sup> ...დიდგორის ბრძოლაში კი, დემეტრე ლაშქრის ერთ-ერთ ფრთას ხელმძღვანელობდა.<sup>13</sup>

მეფედკურთხეული დემეტრესათვის მთავარ საზრუნავს დიდებული მამისაგან დატოვებული მემკვიდრეობის

---

<sup>11</sup> ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი. თბ. 1990. გვ. 7.

<sup>12</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. ტ. I; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1931. გვ. 221.

<sup>13</sup> ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 30.



დემეტრე I-ის მეფედ კურთხევა.

მოვლა და შენარჩუნება წარმოადგენდა. თავდაპირველად, 1128 წელს, მან „ღმანისი და ქალაქი ხუნანი სპარსელებს წართვა“.<sup>14</sup>

ამ წარმატებების შემდეგ დემეტრე იბულებული იყო ქ. ანისი წინანდელ მეპატრონე მანუჩეს შვილებისათვის (თუ შვილიშვილებისათვის<sup>15</sup>) დაეთმო იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, ქ. ანისი სპარსთა ლაშქარმა ძალიან შეაწუხა. საქართველოს მეფემ

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 221-222.

<sup>15</sup> ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 32.

ყმობისა და დამორჩილების დიდი ფიცი და სიმტკიცე ჩამოართვა მანუჩეს შვილებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა მათ ქ. ანისი. მათ აასრულეს პირობა და მთელ თავის სიცოცხლეში საქართველოს მეფის მორჩილნი იყვნენ.<sup>16</sup> ეს მოხდა 1126 წელს.<sup>17</sup>

1130 წელს დემეტრემ დაასრულა მამისაგან დაწყებული გელათის მთავარი ტაძრის მშენებლობა და საზეიმოდ აკურთხა იგი.<sup>18</sup>

1130 წელსვე დემეტრე მეფეს მოუწევს აჯანყება, ამას ვრცლად განვიხილავთ ქვემოთ.<sup>19</sup>

1138-1139 წლებში დემეტრე I-მა ილაშქრა ქ. განძაში (განჯაში) და იქიდან საქართველოში ძლევაძმოსილი დაბრუნდა. გამარჯვების ნიშნად მას თან წამოუღია ქ. განძას კარები. ეს კარი ეხლაც გელათის მონასტერში ინახება და ზედ ამ ამბის დამამტკიცებელი დაზიანებული ქართული წარწერა აქვს. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ დემეტრე მეფეს ეს კარი მოუტანია „[წ]ელსა მეფ[ო]ბის... იგ: (13) ხ' დასაბამითგან...“. (იქვე) ანუ მართლაც 1138-1139 წელს.<sup>20</sup>

---

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 222.

<sup>17</sup> ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 32.


<sup>18</sup> ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები. ტ. I. თბ. 1990. გვ. 506.

<sup>19</sup> რადგან სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლა არის ჩვენი გამოკვლევის ძირითადი საგანი, ვამჯობინეთ მისი ცალკე გამოკვლევა.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 223.

1150-იან წლების მახლობლად კვლავ მოხდა დემეტრეს წინააღმდეგ აჯანყება. ამჟამად მას თავისი უფროსი ვაჟი დავითი აუჯანყდა, ამასაც ჩვენ ვრცლად შევეხებით ნაშრომის მესამე თავში.

1153-1154 წლებში „მოუხდა სა[ლ]დუს ამირა ანის[ის] ქალაქსა, მოადგა; აქათ დემეტრე მეფე მოვიდა; შეიბნეს, ნებითა ღმრთისაჲთა მეფეს გაემარჯვა, დაჯოცნა და ამოსწყვიტნა“.<sup>21</sup>



განძიდან ჩამოტანილი კარი გელათში.

---

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 225.

„1155 წელს სრულიად მოულოდნელად დემეტრე მეფემ საქართველოს ტახტ-გვირგვინი დავითს მიუგდო, თვითონ სამეფო სამოსი განიძარცვა და ბერის ჩოხითა და სქემით შემოსილი სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა“.<sup>22</sup> დემეტრე ძალიან მალე, დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ მონასტრიდან დროებით დაბრუნდა, თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი (III) სამეფო ტახტზე აიყვანა და უმაღლვე (დაახლ. 1156წ.) გარდაიცვალა.\*

---

<sup>22</sup> ლ. სანიკიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 507.

\* ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დავით V-ის ცხოვრება მთლიანად გაგვეერთიანებინა მესამე თავში, რადგანაც მისი მოღვაწეობა სრულ კავშირშია სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან.



### III. ბრძოლა საქართველოს სამეფო სკოლისუფლებისათვის დავით IV-ის ემიგრაციისა შორის

დავით აღმაშენებლის ანდერძი და

ვახტანგის აჯანყება დემეტრე I-ის

დასამხობად

„და მივანდუცნ შუკნი და დედოფალნიცა, შუა-  
მდგომლობითა ლუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს. და  
თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად  
მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა, და დათა მისთა პატივ  
სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა:

ამას ყოველსა თანა წარუძღუანე წმინდა ძელი  
ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი  
სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუჭმონი:

ხოლო დრაჰკანი კოსტანტი ცუატა[ს]<sup>24</sup> და ჩემნი  
ლალნი და თუალ-მარგალიტნი, ხახულისა ლუთისმშობლი-  
სადა შემეწირავს...“<sup>25</sup> ეს გახლავთ დავით აღმაშენებლის  
მეორე, გელათისადმი (დემეტრესადმი) ბოძებული ანდერძის

---

<sup>24</sup> „[ს]“ ჩამატებულია თ. ჟორდანიას მიერ - თ.კ.

<sup>25</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორი-  
ისა და მწერლობისა. ტ. II. ტფ. 1897. გვ. 51; ქართული სამართლის  
ძეგლები. ი. დოლიძის გამოც. ტ. II. თბ. 1965. გვ. 18.

ფრაგმენტი, რომელშიც დავითი დემეტრეს უბარებს, რომ მისი ძმა გაზარდოს და თუ ღმერთი ინებებს და „ივარგებს“ იგი „შემდგომად მისსა (დემეტრესა-თ.კ.) მეფე ჰყოს მამულსა ზედა“. მასში დასახელებულია „ცუატა“, რომლის მნიშვნელობის შესახებაც მრავალ მოსაზრებას გამოთქვამენ მეცნიერები. ზოგიერთი მეცნიერი, მაგ. ჯ. სტეფნაძე, ფიქრობს, რომ „ცუატა“-„ცვატა“ უნდა ნიშნავდეს დემეტრე მეფის ძმის სახელს, მაგრამ ასეთი დავითის ვაჟის სახელი, გარდა მისი ანდერძისა, არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის დასახელებული. ე. გაბიძაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „წინადადების ასეთ წყობაში ადამიანის სახელი უნდა ყოფილიყო „ძმა მისი“-ს შემდეგ“,<sup>26</sup> გარდა ამისა, ადამიანის სახელად „ცუატას“ მიჩნევა ძალიან არარეალურია. ანდერძში აგრეთვე საუბარია სიმდიდრეზე, რომელიც დავითმა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა და იქაც მეორდება ტერმინი „ცუატა“. „ხოლო დრაჰკანი კოსტანტი ცუატა და ჩემნი ლაღნი და თუალ-მარგალიტნი, ხახულისა ღუთისმშობლისადა შემეწირავს“. საყურადღებოა ე. გაბიძაშვილის მიერ გამოტანილი დასკვნები: „ასეთ კონტექსტში კერძო პირისათვის რაიმე მემკვიდრეობის დატოვებაზე ლაპარაკი, და ისიც პირველ რიგში, მოულოდნელია. მეორეც, აქ რომ ადამიანის სახელი იგულისხმებოდეს იქნება „ცუატას“ (როგორც ეს თ. ჟორდანიას აღუდგენია) და არა „ცუატა“ (როგორც ხელ-

---

<sup>26</sup> ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები. ე. გაბიძაშვილის გამოც. თბ. 1968. გვ. 281.

ნაწერებშია).<sup>27</sup> უფრო სწორი იქნება, რომ აქ „ცუატა“, ორივე შემთხვევაში, აღნიშნავდეს მცირეს (ცოტას). მართლაც, შინაარსობლივად უფრო მართებული იქნება: ძმა მისი გაზარდოს და თუ ღმერთმა ინებოს და ივარგოს ცოტა, შემდგომად მისსა გაამეფოს. აგრეთვე მეორე შემთხვევაშიც: ხოლო დრაჰკანი კოსტანტი ცოტა და ჩემნი ლაღნი და თუაღ-მარგალიტნი, ხახულისა ღუთისმშობლისადა შემეწირავს. ე. გაბიდაშვილი მიიჩნევს, რომ პირველ შემთხვევაში „ცოტა“ აღნიშავს მცირეწლოვანს, რასაც ამართლებს იმით, რომ ანდერძის შედგენისას ვახტანგი მხოლოდ შვიდი წლის იყო.<sup>28</sup> მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში მის მცირე ასაკზე საუბარი გაუმართლებელია და ორივე შემთხვევაში „ცუატა“ ნიშნავს მცირეს (რაოდენობრივად)!

ახლა რაც შეეხება იმას, თუ რაში დასჭირდა დავით აღმაშენებელს დემეტრესათვის იმის დაბარება, რომ მის შემდეგ ვახტანგი გაამეფოს. აკად. მ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ფიქრობს, რომ „ძმიდან ძმაზე ტახტის გადაცემა არღვევდა საქართველოში უკვე დაკანონებულ ტრადიციას ტახტის ძმიდან უფროს ვაჟზე გადასვლისა, რაც სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა და რისთვისაც აგრეთვე გამოდებით იღვწოდა თვით დავით მეფე. დავითის მოღ-

---

<sup>27</sup> ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები. გვ. 282.

<sup>28</sup> იქვე.

ვაწეობის მთელი ხასიათი გამორიცხავს მისგან ასეთი განკარგულების გაცემას“.<sup>29</sup> მეცნიერი ისტორიული ფაქტების შეფასების საფუძველზე სამართლიანად ფიქრობს, რომ ანდერძის ეს ადგილი ნაყალბევია და იგი შეთხზულია დემეტრეს მოწინააღმდეგეთა მიერ.<sup>30</sup> მართლაც, რაში უნდა დასჭირებოდა დავით აღმაშენებელს ასეთი რამ? მან ხომ თავის სიცოცხლეშივე „აღილო გურგუნი სამეფო და დაადგა ძესა თვისსა თავსა ზედა და შეაცვა სამეფო ბეჭედი მარჯვენასა კელსა მისსა“<sup>31</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდერძის ეს ადგილი გააყალბეს და ბოროტად გამოიყენეს დემეტრე I-ის დროს დიდმა ფეოდალებმა და 1130 წელს აჯანყდნენ მეფის წინააღმდეგ. „უფლის წულს [და] ივანე აბულეთის ძეს უნდოდა[თ] დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა. მაგრამ ივანეს მამამ აბულეთმა თავის (შვილის) წინაშე ჭალარა გაიშალა და (განზრახულის ასრულება) დაუშალა. ძმათა შორის (ჩამოვარდნილ) მზაკვრობის წყალობით ორივენი დმანისის ციხეში დაამწყვდიეს. როდესაც დემეტრე (მეფემ) ეს (ამბავი) შეიტყო, (მივიდა დმანისის ციხეში და) ივანეს (დაცინვით) უთხრა: «აჰა შემიბყარ!»-ო. ხოლო მან სინანუ-

---

<sup>29</sup> მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979. გვ. 285.

<sup>30</sup> იქვე. იგივეს ფიქრობდა ნ. ბერძენიშვილიც. იხ. მისი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1969. გვ. 113.

<sup>31</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 364.

ლით უპასუხა: «არა მეფევე, მე ხელთ მოგეცით თქვენი ძმა, რომელიც თქვენს მეფობას ეძიებს». (მეფემ) შეიპყრა იგი (ძმა?), „(თვალი) დაუბნებინა და გაანთავისუფლა“<sup>32</sup>-ო,<sup>33</sup> მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ამ ცნობაში დასახელებული უფლისწული უნდა ყოფილიყო დემეტრეს უფროსი ვაჟი დავითი. იმას, რომ დემეტრეს ძმა აუჯანყდა იგი გამორიცხავს იმით, რომ დემეტრეს ძმა არ ჰყავდა,<sup>34</sup> მაგრამ მას როგორც ჩანს მხედველობიდან გამორჩა დემეტრეს უმცროსი ძმა - ვახტანგი. გავიხსენოთ თუნდაც, როდესაც გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი დავით IV იგლოვდა მანამ, სანამ არ იშვა ძე მისი ვახტანგი.<sup>35</sup> დემეტრეს ძმის არსებობა დასტურდება ზემოთ მოხმობილი დავით აღმაშენებლის ანდერძის ციტატიდანაც.<sup>36</sup> გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ნახსენები უფლისწული ვერ იქნებოდა დემეტრეს ძე დავითი, რადგანაც როგორც ვარდანი გვამცნობს იმ უფლისწულს დემეტრემ თვალნი დაუბნელები-

---

<sup>32</sup> *Вардан Великий, Всеобщая История. Пер. Н. Эмина. М. 1861 г. Стр. 160-161.*

<sup>33</sup> ჩვენ ავიღეთ მისი ივ. ჯავახიშვილისეული ქართული თარგმანი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 223.

<sup>34</sup> იქვე. გვ. 224.

<sup>35</sup> ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 11.

<sup>36</sup> ჯ. სტეფნაძეც ეწინააღმდეგებოდა ივ. ჯავახიშვილის აზრს, მაგრამ იგი მიუთითებდა დემეტრეს უმცროს ძმაზე - ცვატაზე. იხ. მისი საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. თბ. 1985. გვ. 71-72.

ნა.<sup>37</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ჯ. სტეფნაძის საყურადღებო აზრი, რომელიც ფიქრობდა, რომ შესაძლოა ამ აჯანყებაში ყოველგვარ ეთნიკურ ფორსს გარეულნი.<sup>38</sup>

1130 წელს წამოწყებული აჯანყება არ განხორციელდა. დემეტრემ თავისი ძმა - ვახტანგი და მისი ძირითადი მრჩეველი ივანე აბულეთის ძე სასტიკად დასაჯა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგს თვალები დასთხარეს, ხოლო 1132 წელს „დემეტრე[m] აბულეთის ძესა ივანეს თავი მოკუეთა“.<sup>39</sup>

---

<sup>37</sup> ეს აზრი თავად ივ. ჯავახიშვილმაც გამოთქვა. იხ. მისი. დასახ. ნაშრომი. გვ. 224.

<sup>38</sup> ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. გვ. 70-71.

<sup>39</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 223; ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. გვ. 71.

## დავით V და მისი აჯანყებანი დემეტრე I-ის დასამზობად

დემეტრე I-ის დროს აჯანყებები არ დამთავრებულა ზემოთ დასახელებული ვახტანგის შეთქმულების მცდელობით. სამეფო ტახტისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო დემეტრესა და მის უფროს ვაჟს დავითს შორის.

დემეტრე I-მა „დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექუს თუე და მოკუდა“<sup>40</sup> - გვამცნობს ლაშა-გიორგის დროინდელი ერთ-ერთი უცნობი ქართველი მემატიანე. დავით V-ის შესახებ ცნობები ნაკლებია, რაც იმითაც აიხსნება, რომ მან მხოლოდ ექვს თვეს იმეფა. მან გამეფებისთანავე საპყრობილედან გაანთავისუფლა მამამისის - დემეტრე I-ის მიერ ტყვედქმნილი თირქაში (აბულეთის ძე) და მას ამირსპასალარობა უბოძა.<sup>41</sup>

1150 წელს, წელს დემეტრე I-ს აუჯანყდა უფროსი ვაჟი დავითი. დავითმა „ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესა ამოსწყვიტნა ამის სამეფოსა დიდებულნი“.<sup>42</sup> ივ. ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად მიიჩნ

---

<sup>40</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955. გვ. 366.

<sup>41</sup> *Вардан Великий*, დასახ. ნაშრომი. გვ. 165.

<sup>42</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეღიანი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959. გვ. 18.

ნევდა, რომ აჯანყების მიზეზი გახლდათ დემეტრე მეფის უმცროსი ძის - გიორგისადმი მიკერძოება.<sup>43</sup> თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს უწერია, რომ დემეტრე იყო „მარჩვეული ძისა უმცროსისა“<sup>44</sup> (ანუ გიორგისა). თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დავითი მამამისს პოლიტიკურ მმართველობაში წინააღდგომოდა და აჯანყებოდა. ...ამ ფაქტის შემდეგ დემეტრემ სამეფო ტახტი კვლავ შეინარჩუნა.

---

<sup>43</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 225.

<sup>44</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, ქართლის ცხოვრება ტ. II. გვ. 3.



## დავით V-ის გარდაცვალება და სამეფო ტახტის „დასაკუთრება“ გიორგი III-ის მიერ

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, დავით V გარდაიცვალა გამეფებიდან ექვს თვეში. მისი გარდაცვალების შესახებ ისტორიოგრაფიაში მრავალი აზრია გამოთქმული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანის“ ავტორს უწერია, რომ დემეტრე მეფის „ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის ღლეთა შემცირებითა სრულყო პირველ მამისა“.<sup>45</sup> ანუ ისტორიკოსი ამბობს, რომ დემეტრე ღმერთს ევედრებოდა ურჩი შვილისაგან ეხსნა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი პირდაპირ ასახელებს დავითის მკვლელებად სუმბატ და ივანე ორბელებს.<sup>46</sup> დავითის უეცარი გარდაცვალების შემდეგ ბერად აღკვეცილი დემეტრე დაბრუნდა სამეფო ტახტზე და თანამოსაყდრედ გიორგი დასვა. „...და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემეუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა“.<sup>47</sup> მაგრამ ეს ყოვლად გაუმართლებელია, ფაქტიურად დემეტრემ დაარღვია ტახტის მემკვიდრეობის კანონი. როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს შესაძლოა მომხდარიყო ასეთი

---

<sup>45</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 3.

<sup>46</sup> *Вардан Великий*, დასახ. ნაშრომი. გვ. 154; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 287.

<sup>47</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 3.

რამ: „დავით მეფე გარდაიცვალა; მისი გარდაცვალების შემდეგ, მართალია ტახტი მის შვილს დემნას ეკუთვნოდა, მაგრამ დავითის შემდეგ ისევ დემეტრე დაბრუნდა ტახტზე და ახლა დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ უკვე ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი შვილი გიორგი იყო და არა შვილიშვილი დემნა“.<sup>48</sup>

...მაგრამ, სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანს ეს ამბავი სხვაგვარად აქვს მოთხრობილი. იგი ამბობს, რომ მეფე დემეტრე გარდაიცვალა და გამეფდა მისი ძე დავითი. დავითმა სიკვდილის წინ მოუხმო დიდებულებს და თავისი მცირეწლოვანი დემნა (დემეტრე) მათ ჩააბარა, კერძოდ, ივანე ორბელს, დავითის ძმა გიორგი, მეფის მეურვედ დანიშნა დემნას სრულწლოვნობამდე.<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეს ცნობა არაა მართალი, რადგან დავითსა და გიორგის შორის არსებული მტრული ურთიერთობის პირობებში არ არის მოსალოდნელი, რომ მომაკვდავ დავითს თავისი მცირეწლოვანი შვილის მეურვედ გიორგი დაენიშნა.<sup>50</sup> უფრო სწორი ჩანს ვარდანიც ცნობა, რომ დავითი გიორგის მომხრეებმა

---

<sup>48</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 288.

<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 242-243; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 288.

<sup>50</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 243.



გიორგი III.

მოკლეს<sup>51</sup>, აგრეთვე საყურადღებოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიერ ნაუწყები ამბავი, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ, ბერად აღკვეცილი დემეტრე დაუბრუნდა ტახტს და თავისი „ძე ტკბილი“ გიორგი მეფედ დასვა. სტეფანოს ორბელიანის მიერ დასახელებული დავით V-ის „ანდერძები“ ჰაერზეა გამოკიდებული, არავითარი კავშირი არ აქვს ისტორიულ სინამდვილესთან და შეთზულია თვით სტეფანოსის მიერ.

---

<sup>51</sup> *Вардан Великий*, დასახ. ნაშრომი. გვ. 154

## დემეტრე (დემნა) ბატონიშვილისა და

### ორბელთა ამბოხი

აჯანყებათა ციკლი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შეწყვეტილა გიორგი III-ის მეფობაშიც. 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოეწყო. სათავეში დიდგვარიანი ფეოდალები - ორბელები იდგნენ, რომლებიც, თითქოს, დავით V-ის შვილის დემნას (დემეტრეს) უფლებების დაცვის საბაბით მოქმედებდნენ. აჯანყების ყველაზე აქტიური ხელმძღვანელი იყო ივანე ორბელი.

აქ უნებურად ჩნდება კითხვა, ეს ხომ ის ორბელები იყვნენ დავით V-ის მკვლელობაში რომ იღებდნენ მონაწილეობას? აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „როგორც ჩანს, ორბელნი, რომელნიც თავიდან გიორგის მომხრენი იყვნენ და რომელთაც მიიღეს მისგან ამირსპასალარობა, გიორგისაგან დახმარების საფასურად უფრო მეტ საზღაურს ელოდნენ და რადგან არ გაუმართლდათ, ახლა მის წინააღმდეგ დემნას კანდიდატურა წამოაყენეს“.<sup>52</sup>

აკად. რ. მეტრეველი ეჭვის თვალთ უყურებს იმ ფაქტს, რომ „ორბელთა ამბოხი“ დემნა (დემეტრე) ბატონიშვილის უფლებების დაცვას ისახავდა მიზნად. „წყაროების მიერ დემნას ტახტისმადიებლობის დასახელება ამბოხების მიზეზად უსუსურია, რადგან აჯანყება 1177 წელს

---

<sup>52</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 289.

მოხდა, როცა დემნა სულ ცოტა ოცდაორი წლის მაინც უნდა ყოფილიყო“, „ხომ არ არის ძალზე დიდი წელი სრულასაკონებისათვის, ნუთუ მანამდე არ შეიძლებოდა სრულწლოვნად ჩათვლილიყო საქართველოს ტახტის მემკვიდრე?“<sup>53</sup> საყურადღებოა მეცნიერის მიერ გამოტანილი დასკვნები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი სრულიადაც არ ყოფილა აჯანყების მიზეზი. ეს მომენტი ფაქტიურად იყო საბაბი, რომელსაც ეფარებოდა მსხვილ ფეოდალთა სურვილ-ზრახვანი და მოქმედება. თვით დემნა აჯანყების ძალზე პასიური მონაწილე ჩანს. „ოდეს ორბელნი უკუაგდეს გიორგი მეფისა, იგი (დემეტრე-თ.კ.) თანაუკუიტანეს და ლორეს შეაგდეს“<sup>54</sup>. თვით გიორგი მესამეც აღნიშნავდა თავის ერთ-ერთ სიგელში, რომ „ოდეს ბირებითა და განზრახვითა ემშაკისათა შეითქუეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათვის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს“.<sup>55</sup>

„ორბელთა აჯანყების“ ძირითადი მიზეზი გახლდათ ეკონომიკურად დაწინაურებული და გაძლიერებული ფეოდალების ბრძოლა პოლიტიკური უფლებების გაზრდა-გაფართოებისთვის.

---

<sup>53</sup> რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1973. გვ. 122.

<sup>54</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემატთანე, ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 366.

<sup>55</sup> რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი. გვ. 123-124.

...აჯანყებას სათავეში ორბელთა გარდა კიდევ ივანე ვარდანისძე, შოთა ძე არათავაჩოსძისა, ქართლის ერისთავი სუმბატ ლიპარიტისძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანესძე, ანანია დვინელი, მხარგძელი, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენელი, გრიგოლ ანელი აპირატისძე და ა.შ. ედგნენ.<sup>56</sup>

შეთქმულებს სახატეში მდგომი გიორგი III-ის მოულოდნელად დაპატიმრება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მათი სურვილი გიორგისათვის ცნობილი გახდა და მან თბილისში ჩაკეტვა მოასწრო. მეფის შეპყრობის გეგმა ჩაიშალა. მან თანდათან შემოიკრიბა მეომრები, დაიქირავა მთიელები და აჯანყებულებს შეუტია. მეფის წარმატებებმა ბევრი ფეოდალი შეაფიქრა და ზოგი მათგანი გიორგი III მხარეზე გადავიდა (გამრეკელი, გრიგოლ ანელი, მხარგრძელი და სხვ.).

შევიწროებული მეამბოხეები ლაშქრის სიდიდის მიუხედავად\* წარუმატებლობას განიცდიდნენ და ბოლოს

---

<sup>56</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ე. ცაგარეიშვილის გამოც. თბ. 1978. გვ. 45-46; ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. გვ. 81.

\* ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამბოხებულთა ლაშქარი 30 000 კაცს შეადგენდა, მაგრამ ახლა ეს ჩვენი კვლევის საგანი არ არის.

ლორის ციხეში „შეიხუეწეს“.<sup>57</sup>

აჯანყებულთა მთავარი ძალები ლორეს ციხეში ჩაიკეტა, გიორგი მესამემ ციხეს ალყა შემოარტყა.

გიორგი III ლორეში ჩაკეტილი აჯანყებულების მშვიდობიანად ჩაბარებას ცდილობდა, მაგრამ გარკვეულ დრომდე ივანე ორბელი ცივ უარზე იყო. პირიქით, მოითხოვდა, რომ ღემნასთვის სახელმწიფოს ნახევარი გადაეცა. ციხის ალყა თანდათან დამძიმდა. ერთ ღამეს კი ღემნა ციხიდან გაიპარა და ბიძას წარუდგა. ამას ციხის დაცემა მოჰყვა.<sup>58</sup>

გიორგი მესამემ „ურჩთა და მტერთა მისთა ზედა შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“.<sup>59</sup> ივანე ორბელს თვალები დასთხარეს. აჯანყების ბევრი მოთავე სიკვდილით დასაჯეს. ღემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და ამასთანავე დაასაჭურისეს. რ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ ღემნას დასაჭურისებით „გიორგი მესამემ ძირიანად მოსპო მომავალშიც რაიმე გაუგებრობა ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე, რადგან ღემეტრე ამიერიდან შთამომავლის გარეშე უნდა გადაშენებულიყო“. ღემეტრე ბატონიშვილი გარდაცვალებული

---

<sup>57</sup> ვ. სტეფანაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. გვ. 81; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 241.

<sup>58</sup> ვ. სტეფანაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. გვ. 82.

<sup>59</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 20.

ბის შემდეგ საგვარეულო საძვალეში გელათში კი არა, მცხეთაში დაკრძალეს.<sup>60</sup>

\* \* \*

საქართველოს სამეფო ხელისუფლებისთვის ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრეებს შორის არის ფეოდალური საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი კლასიკური გამოვლინება. იგი თითქმის განუწყვეტელივ მიმდინარეობდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში და მან ფაქტიურად „მოშალა“ საქართველოს სამეფოს ძირითადი ტრადიცია - სამეფო ხელისუფლების ტახტის მემკვიდრეობის კანონი. ეს საკითხი, განსაკუთრებით კი „ორბელთა ამბოხის“ მიზეზები და თვითონ დემეტრე (დემნა) ბატონიშვილის პიროვნება კვლავ მრავალმხრივ საჭიროებს გამოკვლევას მეცნიერთა მიერ.

---

<sup>60</sup> რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი. გვ. 133.



## **THE STRUGGLE FOR ROYAL POWER BETWEEN THE HEIRS OF GREAT KING DAVID IV THE BUILDER**

### *Summary*

The struggle for Royal Power between the heirs of The Great King David IV The Builder is one of the interclassical elicitations of Feudal Georgia. This process starts in period of reigning of the king Demetre I “The Devoted”, and lasts during almost half a century. The most remarkable thing is the second will of the king David The Builder (1125), which later was falsified for vicious reasons by the Feudals of Georgia and was used as a main motive of rebellion. Later, in 1150, the older son of the king Demetre I, David, rose against his father. The reason was a partiality to his younger brother Giorgi. In 1155 David again rose against his father and this time he succeed, precipitated his father Demetre, took power and throne and became the king. Demetre went to the monastery. The king David reigned for six months and then passed away. The reason of his death, as an Armenian historian Vardan gives us information about this, were feudals The Orbels and his younger brother Giorgi. After this the king Demetre returned from the monastery and made his son Giorgi as a king. In 1177-1178 The Orbels and the son of David V Demetre (Demna) rebelled against the king Giorgi III. In this battle the winner was the king and he punished the rebels very severely.... The struggle for Royal Power between the heirs of The Great King David IV The Builder and especially “The Rebellion of The Orbels” and a personality of Demna Batonishvili needs a specific investigation by the scientists.

## წყაროები და ლიტერატურა

1. *Вардан Великий, Всеобщая История. Пер. Н. Эмина. М. 1861 г.*
2. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტ. II. ტფ. 1897 წ.
3. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955 წ.
4. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატთანე, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955 წ.
5. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959 წ.
6. ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამოც. ტ. II. თბ. 1965 წ.
7. ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები. ე. გაბიძაშვილის გამოც. თბ. 1968 წ.
8. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ე. ცაგარეიშვილის გამოც. თბ. 1978 წ.

9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1931 წ.
10. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1969 წ.
11. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ. 1973 წ.
12. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1973 წ.
13. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979 წ.
14. ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. თბ. 1985 წ.
15. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები. ტ. I. თბ. 1990 წ.
16. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი. თბ. 1990 წ.
17. ა. გოგოლაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ. 2001 წ.

# შინაარსი

I. საქართველო XII საუკუნის პირველ მეოთხედში.....	3
- დავით IV აღმაშენებლის მეფობის ზოგადი მიმოხილვა.....	3
II. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეთა ზეობის ხანაში.....	2
- დემეტრე I .....	12
III. ბრძოლა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის დავით IV-ის მემკვიდრეთა შორის.....	17
- დავით აღმაშენებლის ანდერძი და ვახტანგის აჯანყება დემეტრე I-ის დასამხობად .....	17
- დავით V და მისი აჯანყებანი დემეტრე I-ის დასამხობად.....	23
- დავით V-ის გარდაცვალება და სამეფო ტახტის „დასაკუთრება“ გიორგი III-ის მიერ.....	25
- დემეტრე (დემნა) ბატონიშვილისა და ორბელთა ამბოხი .....	28
*** (ბოლოთქმა) .....	32
Summary.....	33
წყაროები და ლიტერატურა.....	34



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)



